



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
კოლეჯი „მოდუსი“



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 93

რ უ ს თ ა ვ ი

31.07.2025

სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N87  
ბრძანების „სსიპ კოლეჯი მოდუსის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ დანართში  
დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 54-ე, 55-ე მუხლების, საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N87  
ბრძანების დანართის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> მუხლი:

„3<sup>1</sup>. პროფესიული განათლების მასწავლებლების წარმომადგენელი და პროფესიული სტუდენტების წარმომადგენელი კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ პროფესიული მასწავლებლის ან პროფესიული სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვის შემთხვევაში.“;

2. შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N87  
ბრძანების დანართის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>2</sup> მუხლი:

„3<sup>2</sup>. პროფესიული განათლების მასწავლებელი მონაწილეობას იღებს მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინარული გადაცდომის საკითხის განხილვისას, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა წარმომადგენელი - პროფესიული სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინარული გადაცდომის საკითხის განხილვისას.“;

3. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება გააცნოს კოლეჯის თანამშრომლებს;

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

5. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდზე;

6. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს დოკუმენტი შესასრულებლად გადაუგზავნოს IT სპეციალისტს;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

**კარლო კერვალიშვილი**

დირექტორი

